მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის“ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი. ბრძანება N6/20 (10.11.2022 წ); • ცვლილება შპს „შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის“ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი. ბრძანება N6/9 (28 თებერვალი, 2023 წ); • 01.11.2022 წლის N6/5 ბრძანება, შპს ,,შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის'' დებულება; • 27.02.2023 წლის ბრძანება N6/8 ცვლილება დებულებაში.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა მდებარეობს ქალაქ რუსთავში, ახმეტელის ქუჩა, N10-ში. საკუთრების უფლებით ფლობს 10890.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ N1 სასწავლო კორპუსი (4 სართული, საერთო ფართით 3034.23 კვ.მ) და N2 დამხმარე შენობა/ნაგებობა (საერთო ფართით 34.71 კვ.მ. უნდ აღინიშნოს, რომ სკოლა მეოთხე სართულს არ იყენებს ფუნქციონირებისთვის და აქვს გადაკეტილი ორმხრივად.
ფაქტობრივი მისამართი	**ქ. რუსთავი, ახმეტელის ქ.#10**
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	02.04.02.068
კვ.მ.	**3034,23**
მტკიცებულებები/ინდიკატორები	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; ვიზუალური დატვალიერება
შეფასება	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საკლასო ოთახები აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ინვენტარით: ასაკისა და ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებული მერხებით და სკამებით, დაფებით და მასწავლებლის მაგიდებით. ყველა საკლასო ოთახში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დამონტაჟებულია პროექტორი და კომპიუტერი უწყვეტი ინტერნეტით. კლასებში გამოფენილია სასწავლო რესურსები, პოსტერები, და სხვადასხვა მიზნობრივი თვალსაჩინეობები. სკოლას აქვს 200 ინდივიდუალური მერხი და სკამი. სკოლაში სულ 20 დაფა, 20 პროექტორი, 2 ჭკვიანი დაფაა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შესყიდვის ხელშეკრულებები; ანგარიშფაქტურები; ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას, პირველ სართულზე, შესასვლელში აქვს სპორტული დარბაზი და გასახდელები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის, სკოლას შეძენილი აქვს სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი: ბურთები, ჩოგბურთის მაგიდები და შესაბამისი ჩოგნები, ჭადრაკის დაფები და სხვა. ასევე აქვს კალათბურთის გადასაადგილებელი ფარები. დამხმარე ოთახები მასწავლებლებისთვის, რომელიც არ გამოიყენება დანიშნულებისამებრ. გასახდელებით შესაძლებელია მოხვდე სპორტულ დარბაზში, თუმცა ის არ არის გათვლილი სსსმ მოსწავლის გადაადგილებაზე. სკოლის მესვეურებმა ვიზიტის პერიოდში დაამონტაჟეს დარბაზში ჩასასვლელ ძირითად კიბეზე სპეციალური პანდუსები. დარბაზში იატაკი იყო ამოტეხილი, რაც საფრთხის შემცველი იყო მოსწავლეებისთვის. ეს ხარვეზიც გამოასწორეს ექსპერტთა ვიზიტის დროს. სკოლის ტერიტორიის დათვალიერებისას სპორტულ დარბაზში შეიმჩნეოდა ნესტისa და შმორის მძაფრი სუნი. დამხმარე ოთახების გახსნის დროს აღმოჩნდა, რომ სპორტული დარბაზის ოთახები გამოყენებული იყო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სათავსოებად, იყო ანტისანიტარია, ხოლო ერთ დამხმარე ოთახში განთავსებული იყო პლასტმასის ბალონები დასუფთავებისთვის საჭირო ქიმიური საშუალებებით (როგორც სკოლის წარმომადგენლებმა ახსნეს, რადგან ქართული წარწერა არ ჰქონდა). იმავე ოთახში იდო დაკოროზირებული, მოძრავი ფარის გირი (სიმძიმე- როგორც ახსნეს). კოროზიის გამომწვევი მიზეზი შესაძლოა ყოფილიყო ნესტიც და დაღვრილი ქიმიური საშუალებაც. ექსპერტთა ჯგუფისთვის უცნობია მიზეზი. ექსპერტების რეკომენდაციის შემდეგ დამხმარე ოთახები გამოსუფთავდა, კოროზირებული „გირი“ გაიტანეს და აღმოჩნდა, რომ გამათბობელი მოწყობილობაც (რადიატორიც) იყო დაზიანებული და კოროზიის პროცესი იქაც იყო გადასული. ამ გარემოებას შეიძლება გამოეწვია რადიატორის მწყობრიდან გამოსვლა (გახეთქვა), წყლის დაცლა და რადგან ცეცხლფარეშიც არ ჰყავს სკოლას მოსალოდნელი რისკები შესაძლოა სავალალო იყოს გათბობის სისტემისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დატვალიერებით, ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაციით.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ჯამში 41 კომპიუტერი, ბუნებისმეტყველების კაბინეტი და IT ლაბორატორია, სადაც დამონტაჟებულია ჭკვიანი დაფაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	**შესყიდვის დოკუმენტაცია;** **ვიზუალური დათვალიერება**
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ელ. ენერგიის მიწოდების მუდმივი და ალტერნატიული წყაროები. მუდმივი ელ.ენერგია მიეწოდება ქალაქიდან, ხოლო გენერატორი უზრუნველყოფს ელ. ენერგიის მიწოდებას საჭიროების შემთხვევაში, თუმცა ჩვენ ვერ გადავამოწმეთ გენერატორის მუშაობა. ასევე სკოლას აქვს წყლის რეზერვუარი, რომელშიც საჭიროების შემთხვევაში დაგროვილი წყალი დამუშავდება კანონმდებლობის შესაბამისად და ნორმების დაცვით. თუმცა ეს განცხადებაც ვერ იქნა ჩვენ მიერ გადამოწმებული, რადგან ჯერ არ იყო მოქმედ მდგომარეობაში. წყალიც მიეწოდება ქალაქის ქსელიდან. სკოლას აქვს გათბობის სისტემა და ბოილერი. გათბობა ჩართული დაგვხვდა, თუმცა ცეცხლფარეში სკოლას არ ჰყავს. ამდენად უსაფრთხოების ნორმების გადამოწმება ვერ მოხერხდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შესყიდვის დოკუმენტაცია; ვიზუალური დთვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო ბიბლიოთეკა განთავსებულია დიდ და ნათელ ოთახში. თაროებზე წიგნები განთავსებულია ანბანურად. შემუშავებულია ბიბილიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბილიოთეკით სარგებლობის წესი და მუშაობის განრიგი. ბიბილიოთეკაში არის ინტერნეტით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღჭურვილი კომპიუტერი და პრინტერ/ქსეროქსის აპარატი. წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკაში არის სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა კლასისა და ყველა საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და პერიოდიკა. ექსპერტებისმიერ შემთხვევითი შერჩევით მოხდა წიგნების შესაბამისობის მონიტორინგი და ყველა წიგნი იყო რეგისტრირებული და იძებნებოდა კატალოგში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ბიბლიოთეკის დებულება; ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი; ვიზუალური დათვაიერება; წიგნების ფლობის დოკუმენტაცია; ხელშეკრულებები პერიოდულ გამოცემებზე.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არისადაპტირებული გარემო სსსმ მოსწავლეებისთვის. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია შესაბამისი აღჭურვილობის სველი წერტილი. სკოლას კიბეებზე (ერთ მხარეს, კედელზე) დამაგრაბული აქვს მოძრავი პანდუსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერებით
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში ფუნქციოინირებს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 20 კომპიუტერი. ყველა საკლასო ოთხში დამონტაჟებული პროექტორი და მონიტორი, ასევე ყველა საკლასო ოთახში არის კომპიუტერი ან ნოუთბუკი. გარდა ამისა კომპიუტერული ტექნოლოგიები გამოიყენება სკოლის მართვაშიც. სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულს აქვს კომპიტერი. სულ სკოლის ბალანსზე 40 კომპიუტერი და ლეპტოპია. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტმომსახურეობით. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის ვებ-გვერდია www.srs.edupage.org ხოლო ელ. ფოსტა Shotarustaveli07@gmail.com, ვებ. გვერდი უფასოა, ვინაიდან სკოლას აქვს ხელშეკრულება გაფორმებული ი/მ გიორგი სამხარაძესთან Edupage სკოლის მენეჯმენტის სისტემის გამართულად მუშაობის უზრუნველსაყოფად და ეს სისტემა მოიცავს უფასო ვებ. გვერდის მიწოდებას მზა შაბლონებით. ხელშეკრულება გაფორმებულია 2022-2023, 2023-2024 სასწავლო წლებისთვის. სკოლის ვებ-გევრდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, მისია, სკოლის ადმინისტრაციის შემადგენლობა, კათედრების ჩამონათვალი, სკოლაში მიღების წესი, სწავლის საფასური და შეღავათები, სკოლის შინაგანაწესი და სხვა. ვებ-გვერდის დიზაინში ჩაშენებულია ელ. ჟურნალი ფანჯარა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ვებ-გვერდი; • ელ.ფოსტა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• 2023 წლის 13 დეკემბრის ხელშეკრულება ი/მ გიორგი სამხარაძესთან ; • კომპიუტერების ფლობის დოკუმენტაცია.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არ არის დაცული ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმები. შენობა აღჭურვილია სახანძრო კვამლსაწინააღმდეგო დეტექტორებით მხოლოდ პირველ სართულზე და ისიც მხოლოდ დერეფანში. **<u>პირველი სართულის სველ წერტილში არ არის კვამლსაწინააღმდეგო დეტექტორი. მეორე და მესამე სართულზე დეტექტორები არ არის დამონტაჟებული.</u>** სკოლას აქვს 17 გადამუხტული ცეცხლმაქრი, შენობაში ცეცხლმაქრები განთავსებულია საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში. სკოლას შემუშავებული აქვს „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“, რომლის ფარგლებში შექმნილია საგანგებო შტაბი და გაწერილია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები **სკოლამ არგუმენტირებული პასუხის წარმოდგენისას მოგვაწოდა კვამლსაწინააღმდეგო დეტექტორების შესყიდვის დოკუმენტაცია, თუმცა ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას ადგილზე გადაამოწმონ არსებული მდგომარეობა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • ცეცხლმაქრების გადამუხტვის ხელშეკრულება • „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და მანიშნებლები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დატვალიერებით;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, სადაც განთავსებულია სამედიცინო ინვენტარი და პირველადი მოხმარების მედიკამენტები, რომლებიც შესაბამისია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნებისა. ასევე სკოლას ჰყავს ექიმი და შემუშავებულია ექიმის დებულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • ექიმის დებულება; • ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია; ანგარიშფაქტურები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას არ აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. სკოლის ტერიტორია შემოღობილია კაპიტალურად. თუმცა სკოლის შიგნით მანქანების სავალი ნაწილი არ არის გამოყოფილი მესრით, რაც უქმნის საფრთხეს გარე მოედანზე ან სკოლის ეზოში მოთამაშე მოსწავლეებს. აუცილებელია მანქანების სავალი ნაწილის შემოფარგვლა მესრით ისე, რომ მოსწავლე თავისუფლად ვერ ხვდებოდეს მანქანების სავალ ნაწილზე. სკოლის ტერიტორიის დაცვას უზრუნველყოფს ორი დარაჯი. ასევე სასწავლო პროცესის დროს წესრიგის დაცვა უნდა აკონტროლონ - მორიგე მასწავლებლებმა. თუმცა ამ ინსტიტუციის ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ არცერთ მარეგულირებელ დოკუმენტში არ არის გაწერილი ინფორმაცია. რა ევალება მორიგე მასწავლებელს, ან რა პასუხისმგებლობის ზომები გატარდება მის მიმართ, როდესაც ხელშეკრულებაშიც არ აქვს ეს ვალდებულებები გაწერილი. ჩვენ მივეცით რეკომენდაცია, რომ დებულებაში ან თანამდებობრივი ინსტრუქციების ნაწილში, ასევე შრომით ხელშეკრულებებში აესახათ სამუშაოს აღწერილობა , ხოლო შინაგანაწესში კი - პასუხისმგებლობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმებულია 2022 წლის ნოემბერში. მისი ფუნქციები და ვალდებულებები გაწერილია დებულებაშიც. კერძოდ: მუხლი 18. „1. სკოლაში საფრთხეების და რისკების იდენტიფიცირება, შესაბამისი პრევენციული ზომების შემუშავება (ამასთან საგანგებო სიტუაციების მართვა) და აღნიშნული სისტემის კონტროლი; 4. შრომის უსაფრთხოების გეგმისა და პროცედურების შემუშავებაში ხელშეწყობა; 15. კონკრეტულ სამუშაო ადგილებზე სამუშაო პირობების შესწავლის ორგანიზება, სამუშაო ადგილებისა და საწარმოო დანადგარების ატესტაცია შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნათა შესაბამისად, სახიფათო და მავნე საწარმოო ფაქტორების განმსაზღვრელი პარამეტრების გაზომვა, დაგეგმილი გასატარებელი ღონისძიებების (მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო მომზადების) კონტროლი; 16. დამსაქმებელთა სახელით, თანამშრომლების პერმანენტული ინფორმირება შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების, მავნე და სახიფათო საწარმოო ფაქტორების პრევენციისათვის გატარებული ღონისძიებების შესახებ; საწარმოო ტრავმის და/ან უბედური შემთხვევის დროს, თანამშრომელთა ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, საკომპენსაციო სისტემის გამართვა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება;“ სპორტულ დარბაზში არსებულ ანტისანიტარიასა და მძიმე სუნთან დაკავშირებით შრომის ინსპექტორთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შრომის ინსპექტორი არ ფლობდა დარბაზში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ასევე არ იცოდა, რომ არ იყო სკოლის მეორე და მესამე სართულზე კვამლის დეტექტორები. სკოლის მიერ არ იყო წარმოდგენილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სამოქმედო გეგმა მისი ფუნქციების შესაბამისად. მას შემდეგ რაც ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა სამოქმედო გეგმა, სკოლამ გადმოაგზავნა დამატებით, სადაც უკვე ერთ-ერთ პუნქტად იკითხება ჰაერის შემადგენლობის კონტროლი მარტის თვეში დაგეგმილი. ფაქტია, რომ 2022 წლის ნოემბრიდან ექსპერტთა მისვლის დრომდე, სკოლას ჰქონდა საკმარისი დრო, რომ ეს საკითხები მოეწესრიგებინა და მხოლოდ რეკომენდაციების საფუძველზე, მარტის თვეში არ უნდა ყოფილიყო გაწერილი მნიშვნელოვანი აქტივობები. სკოლას ასევე არ ჰქონდა წარმოდგენილი ადაპტაციის წესი. მაშინ, როდესაც დებულებაშიც და უსაფრთხოების დოკუმენტშიც არაერთგზის აღინიშნებოდა სკოლის მხრიდან ზრუნვა მოსწავლეთა ადაპტაციისთვის, თუმცა მეთოდოლოგია არ ჰქონდათ გაწერილი. ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისად, სკოლამ გადმოაგზავნა ადაპტაციის წესიც. **არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ განმარტა, რომ მორიგეობის სისტემა მასწავლებლებიდან გადაიტანა კლასის დამრიგებლებზე, თუმცა პასუხისმგებლობის ზომები ისევ ბუნდოვანია. ასევე გამიჯნა მანქანების სავალი ნაწილი, თუმცა ექსპეტრები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას ადგილზე გადამოწმდეს არსებული გარემოებები.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინტერვიუ სკოლის პასუხისმგებელ პირთან; • ვიზუალური დატვალიერებით; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესათანხმებლად გაგზავნილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დოკუმენტი: „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. • ინტერვიუ შრმის უსაფრთხოების სპეციალისტთან; • სკოლის დებულება; • უსაფრთხოების სპეციალისტის სამოქმედო გეგმა.
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად ვერ კონტროლდება. სკოლის შენობის ვიდეოდათვალიერება ხდება 31 კამერის მეშვეობით (16 შიდა, 15 გარე). გარე პერიმეტრზე არის რამდენიმე დაუფარავი ადგილი, რომელიც ვერ კონტროლდება, ასევე სკოლის შიდა პერიმეტრზე კიბის უჯრედების მხოლოდ მცირე ნაწილი კონტროლდება და დიდი ნაწილი უკონტროლოდ არის დარჩენილი. **სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას განაცხადა, რომ დაამატა კამერები, თუმცა ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას ადგილზე გადაამოწმონ მდგომარეობა.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • დაცვის ოთახში განთავსებული მონიტორები, სადაც მოეწოდება ვიდეოკამერებიდან სიგნალი; • ვიდეოკამერების შესყიდვის დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული აქვს წესდება, სკოლის დებულება და შინაგანაწესი, სტრუქტურული ერთეულების დებულებები და სხვა შიდა დოკუმენტები, რომელთა საშუალებითაც სკოლა გეგმავს და წარმართავს საკუთარ საქმიანობას და იღებს გადაწყვეტილებებს. წესდებით განსაზღვრულია: სკოლის სახელი, იურიდიული მისამართი, საქმიანობის სფერო, საფინანსო წელი, სკოლის დამფუძნებლები, გადაწყვეტილების მიღების წესები, მმართველი ორგანოების ფუნქცია-მოვალეობები, ლიკვიდაცია და დასკვნითი დებულებები. სკოლის დებულებაში გაწერილია სკოლის მიზნები, ამოცანები, უფლებამოსილების და მართვის პრინციპები, სკოლის სტრუქტურა და მართვა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, აგრეთვე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები. სკოლის დებულება დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დროს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, შეწყვეტას, შრომითი ურთიერთობის პირობებს, შრომის ანაზღაურების გაცემის, შვებულების ხანგრძლივობისა და მისი გაცემის წესებს; წახალისების ფორმებს. დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობებს, დასაქმებულისა და მოსწავლის ჩაცმულობის წესს განაცხადის/საჩივრის განხილვის წესს, შრომის პირობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაცვასთან დაკავშირებულ ზოგად ინსტრუქციებს, მშობლებთან ურთიერთობის წესს და დასკვნით დებულებებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. შინაგანაწესი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. აღსანიშნავია, რომ ამ დოკუმენტების შედარება შეპირისპირების საფუძველზე გამოიკვეთა მთელი რიგი შეუთავსებლობები. *მაგ: სკოლის დებულების მუხლი 7. სკოლის სტრუქტურა: წარმოდგენილი სტრეუქტურული ერთეულები არ შეესაბამება სკოლის საშტატო განრიგს. ცალ - ცალკეა გამოყოფილი სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია, დირექტორი, ხოლო ქვემოთ მე-5 პუნქტში ვკითხულობთ, რომ სკოლის ადმინისტრაცია შედგება დირექციისგან და ა.შ.* *ასევე, დირექტორის ფუნქციებში არ არის გაწერილი, რომ ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას (პროექტს), ხოლო სსგ პროექტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ.* *სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ერთი დირექტორის მოადგილის შტატი, ხოლო დებულებაში ვხვდებით ასევე დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში.* ***დირექტორის მოადგილის ფუნქციებში ვხვდებით ჩანაწერს: 2.14.*** *ახორციელებს მასწავლებელთა და მოსწავლეთა სასკოლო მორიგეობაზე კონტროლს, თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მორიგე მასწავლებელი გაუგებარია რა სტუქტურული ერთეულია, რადგან არსად არ არის გაწერილი მისი ფუნქციები.* და ა.შ. მსგავსი შინაარსობრივი უზუსტობები შეიმჩნეოდა სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებშიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ექსპერტთა მიგნებები დაწვრილებით გავაცანით სკოლის დირექტორს და პასუხისმგებელ პირს, რომლებმაც უკვე შეცვლილი დოკუმენტები წარმოადგინეს ვიზიტით ყოფნის პერიოდში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის წესდება; შინაგანაწესი; დებულება; საქმიასწარმოების წესი და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო და ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმები. სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია სკოლის მისიის კვალდაკვალ და სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) ანალიზის საფუძველზე. SWOT ანალიზი სრულად ვერ ასახავს სკოლაში არსებულ ვითარებას. მაგ: სკოლაში დასაქმებულია ორ სხვადასხვა ქალაქში და შესაბამისად სხვადასხვა სკოლებში მომუშავე მასწავლებლები. 23 მასწავლებლიდან - 14 მასწავლებელი მუშაობს დღემდე ქართულ-გერმანული სკოლა სხივში. მათ შორის არის 5 დაწყებითის მასწავლებელი საყურადღებოა ის გარემოება, რომ მართალია კანონმდებლობა არ კრძალავს სხვადასხვა სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მუშაობას, მაგრამ რაციონალური ხედვა აუცილებელია წარმოადგინოს სკოლამ. მაგ: დაწყებითების მასწავლებლები, როგორ შეიძლება მუშაობდნენ 2 სკოლაში? მაშინ როცა შრომითი ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში ვკითხულობთ: დასაქმებულის სამუშაო დრო განისაზღვრება 9:00 საათიდან 16:00 საათამდე.“ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი ამ 14 მასწავლებლიდან არ აპირებდა ერთ-ერთ რომელიმე სკოლაზე არჩევანის გაკეთებას. მაშინ როდესაც დაწყებითი კლასების მასწავლებელი, წარმოუდგენელია მუშაობდეს ერთ ცვლაში ორ სხვადასხვა, ერთმანეთისგან საკმაოდ მოშორებულ სკოლაში დღეში 6 საათის განმავლობაში. თუნდაც ეს ფაქტი უნდა ყოფილიყო სკოლისთვის საყურადღებო და აესახათ ანალიზის დოკუმენტში გასაუმჯობესებელ მხარედ. **ეთწლიანი გეგმა გამომდინარეობს ექვსწლიანი გეგმიდან.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 6 წლიანი სტრატეგიული გეგმა; • 1 წლიანი განვითარების გეგმა. • SWOT ანალიზი • შრომითი ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აქვს შემუშავებილი და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესი. საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას: ა) შემოსული დოკუმენტაცია; ბ) გასული დოკუმენტაცია; გ) შიდა დოკუმენტაცია სკოლაში იწარმოება: 1. შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი; 2. გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი; 3. მოსწავლეთა საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; 4. სკოლის დირექტორის საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი; 5. საკადრო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; 6. შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი; საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია, ზონარგაყრილია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით. ჟურნალების შესაბამის საქაღალდეებში დაცულია შესაბამისი კორესპოდენციის ასლი ან დედანი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერებით საქმისწარმოების ერთიანი წესი; სარეგისტრაციო ჟურნალები და შესაბამისი საქაღალდეები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	• **სკოლამ წარმოადგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი.“** • **სკოლის შენობის ყველა სართულის დერეფანში, საკლასო ოთახებში, სველ წერტილებში და დამხმარე ოთახებში დამონტაჟდეს კვამლსაწინააღმდეგო დეტექტორები;** • **სკოლის ტერიტორიაზე, მანქანების სავალ ნაწილი გაიმიჯნოს ცხაურის, მესრის ან სხვა საშუალებით, რათა თავისუფლად ვერ შეძლონ მოსწავლეებმა მანქანების სავალ ნაწილზე მოხვედრა;** • **სკოლის შენობის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად გაკონტროლდეს. დამონტაჟდეს ვიდეო კამერები, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის სრული პერიმეტრის გაკონტროლებას (შიდა და გარე);** • შრომის უსაფრთხოების სპეციალისტმა შეაფასოს საფრთხეები, რომელიც დაკავშირებულია სპორტულ დარბაზში არსებულ გარემოებებსა (ანტისანიტარია, მძიმე სუნი, წესების დარღვევით შენახული საწმენდი საშუალებები, კვამლსაწინააღმდეგო დეტექტორების არ არსებობასთან და ა.შ.).
რჩევები:	•
ხარვეზები:	• სკოლაში არ არის დამონტაჟებული კვამლსაწინააღმდეგო დეტექტორები; • სკოლის შენობის გარე პერიმეტრზე (ეზოში) არ არის შექმნილი მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემო და შიდა პერიმეტრზე მანქანების სავალი ნაწილი არ არის გამიჯნული ცხაურით; • სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად ვერ კონტროლდება; • შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ არ არის იდენტიფიცირებული და შეფასებული საფრთხეები, რომელიც დაკავშირებულია სპორტულ დარბაზში არსებულ გარემოებებსა (ანტისანიტარია, მძიმე სუნი, წესების დარღვევით შენახული საწმენდი საშუალებები, კვამლსაწინააღმდეგო დეტექტორების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	არ არსებობასთან, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის არ არსებობა და ა.შ.).
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსი. სკოლაში სულ 36 თანამშრომელია. მათ შორის 23 მასწავლებელი. სკოლას აქვს ხელშეკრულებები გაფორმებული მასწავლებლებთან, რომელთა ნაწილიც მუშაობს თბილისის ქართულ-გერმანულ სკოლა „სხივ“-ში. ორ ქალაქში მომუშავე მასწავლებელი სკოლისთვის ნამდვილად არის პრობლემა, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც ასწავლის მათემატიკას, ქართულს (კვირაში 5-6 საათიანი დატვირთვით ერთ კლასში) და დაწყებით კლასებს კომბინირებულად. სურათი ასეთია: 23 მასწავლებლიდან - 14 მასწავლებელი მუშაობს დღემდე ქართულ-გერმანული სკოლა სხივში. მათ შორის არის 5 დაწყებითის მასწავლებელი (ე.ლ; ბ.მ; ც.კ; მ.მ; თ.გ), 1 ქართულის (ლ.ხ), 1 ისტორიის (ზ.გ), 1 მათემატიკის (შ.ჯ), 1 ბუნებისმეტყველების (ნ.ბ), 2 ინგლისური ენის (შ.შ.; ე.ა.), 1 ხელოვნების (ე.ჯ.), 1 გერმანული ენის (თ.კ.), 1 ჭადრაკის (ა.ჭ);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2 მასწავლებელი თბილისის სხვა სკოლაში - 1 სპორტის (ნ.მ), 1 ინგლისური ენის (ა.მ). საყურადღებოა ის გარემოება, რომ მართალია კანონმდებლობა არ კრძალავს სხვადასხვა სკოლაში მუშაობას, მაგრამ რაციონალური ხედვა აუცილებელია წარმოადგინოს სკოლამ. მაგ: დაწყებითების მასწავლებლები, როგორ შეიძლება მუშაობდნენ 2 სკოლაში? მაშინ როცა შრომითი ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში ვკითხულობთ: დასაქმებულის სამუშაო დრო განისაზღვრება 9:00 საათიდან 16:00 საათამდე.“ ასევე დაწყებითი კლასების (კომბინირებული) მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა შეადგენს მინიმუმ 13 საათს. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი ამ 14 მასწავლებლიდან არ აპირებდა არჩევანი გაეკეთებინა ერთ-ერთ რომელიმე სკოლაზე, რაც ექსპერტთა აზრით საფრთხეს უქმნის საგაკვეთილო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას და ასევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საშტატო განრიგი; • **შრომითი ხელშეკრულებები;** • ინტერვიუ მასწავლებლებთან; • www. Teachers.gov.ge – პორტალზე ატვირთული cv.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	**23**
მოწვეული/მაძიებელი	**6/3**
პრაქტიკოსი მასწავლებლი	**0**
უფროსი მასწავლებლი	**14**
წამყვანი მასწავლებლი	

55

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მენტორის სტატუსი	

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სტატუსის მაძიებელი სკოლის მასწავლებლები შერჩეული არიან ზოგადი განათლების შესახებ კანონისა და „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მაძიებელ სკოლას, იმისთვის რომ განეთავსებინა ვაკანსიები და საშუალება ჰქონოდა მასწავლებელთა მიღების, უნდა მიემართა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის, რათა განეხორციელებინა ეს პროცედურა. მაძიებელმა სკოლამ არ მიმართა მასწავლებლის სახლს და დამოუკიდებლად შეეცადა განეთავსებინა ვაკანსია pedagogi.ge -ზე, რომელიც წარმატებით განახორციელა. საქმე ისაა, რომ 2023 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით eschool-ის ბაზაში შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა ლიცეუმი იძებნებოდა, მოქმედი სტატუსით. აღნიშნულ სკოლას ავტორიზაცია შეუწყდა 2020 წელს, რომლის თაობაზეც სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მიმართა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, რომ ზემოაღნიშნული სკოლისთვის შეეწყვიტათ მოქმედის სტატუსი. მიუხედავად ამისა სკოლას (იცოდა რა, რომ მას არ ჰქონდა მოქმედი სტსტუსი), უნდა მიემართა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის. ამ გარემოებამ გამოიწვია ის ფაქტი, რომ სკოლამ გამოაცხადა შეუფერხებლად ვაკანსიები, ჩაატარა კონკურსი და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაუდასტურა მაძიებლის სტატუსის მასწავლებლები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	იმ დროს, როდესაც ჯერ არ არსებობს იურიდიული საფუძვლები ამ მასწავლებლების მაძიებლად, ან თუნდაც უფროს მასწავლებლად დაფიქსირებისა. მასწავლებლობის მაძიებლობის დადასტურებისა და სქემაში მასწავლებლების ჩართვის პროცედურა უნდა განხორციელდეს მას მერე, რაც მაძიებელი სკოლა გაივლის ავტორიზაციის პროცედურას და მიიღებს მოქმედი სკოლის სტატუსს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიგულისხმოდ, რომ მაძიებელი სკოლის მიერ გამოცხადებული ვაკანსიების პროცედურა კანონსაწინააღმდეგოა, რადგან ვაკანსიების გამოცხადება და მასწავლებელთა აყვანა განხორციელდა, როგორც მოქმედი სკოლის მიერ და არ იყო ცნობილი სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის და მათ არასწორად დაადასტურეს მასავლებელთა სტატუსები (მასწავლებლობის მაძიებელების). შესაბამისად სკოლის მიერ მასწავლებლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებების საფუძველი უნდა ყოფილიყო „მასწავლებლის სახლიდან“ მიღებული დასტური იმის შესახებ, რომ პოტენციური მასწავლებლების კვალიფიკაცია არის შესაბამისი არსებული სტატუსების იმ მასწავლებლებთან მიმართებით მაინც, ვისაც ვერ უდასტურდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემით განსაზღვრული ერთ-ერთი სტატუსი შესაბამისი სერტიფიკატით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვაკანსიების ვებ. გვერდის დათვალიერება მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები 2023 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით eschool-ის ბაზა.
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შინაგანაწესში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა. სკოლაში თანამშრომელთა წახალისებაზე და დისციპლინურ წარმოებაზე უფლებამოსილი ორგანოა სკოლის დირექტორი, რაც შეეხება მოსწავლეთა დისციპლინურ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოს, წარმოადგენს სკოლის დისციპლინური კომიტეტი, რომლის შემადგენლობა და მუშაობის წესი განსაზღვრულია დისციპლინური კომიტეტის დებულებით
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის შინაგანაწესი; დისციპლინური კომიტეტის დებულება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაში შრომის კოდექსის მოთხოვნებთან და რომლებიც საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად, გატარებულია ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ხელშეკრულებები; ხელშეკრულების აღრიცხვის ჟურნალი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკიდან გამომდინარე სკოლა იზრუნებს მასწავლებელთა და პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ამ მიზნით ჩატარდება სამუშაო შეხვედრები, ან გაიგზავნებიან მიზნობრივად საჭიროებაზე მორგებულ ტრენინგებზე
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ხელმძღვანელობასთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სკოლას გეგმავს შეუქმნას მოსწავლეებს კეთილგანწყობილი, დაცულობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო მრავალფეროვანი პროექტების დაგეგმვით. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი და ამდენად ვერ მოხერხდა ექსპერტთა მხრიდან დეტალების გავრცობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთნ
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	• სკოლამ უზრუნველყოს ლოგიკური ღონისძიებების გატარება მასწავლებელთა ვაკანსიების გამოსაცხადებლად და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად; •
რჩევები:	მასწავლებლები დაასაქმონ ახლო მდებარე სკოლებიდან.
ხარვეზები:	• დარღვეულია მასწავლებელთა მიღების წესი;
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **სტანდარტი დარღვეულია**

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

(შევსების ადგილი) თბილისი
თარიღი 17/03/2023
გვერდების რაოდენობა 60

60
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.